



**სსიპ სოფლის მეურნეობის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**

რისკის შეფასების სამსახური

**„საქართველოში Q ცხელების დაავადების გავრცელების რისკის შეფასების,
სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე შემუშავებული**

რეკომენდაციები

1. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის იმპორტისას ქვეყანაში დაავადების აღმძვრელის შემოტანისა და ახალი კერის გაჩენის რისკის შესამცირებლად, უნდა გამახვილდეს ყურადღება მაკე ცხოველების, მათ შორის განსაკუთრებით წვრილფეხა საქონლის, იმპორტის კონტროლზე, და ასეთ შემთხვევაში შესაძლოა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შექმნას სპეციალური მოთხოვნა მაკე ცხოველის იმპორტის მიმართ:

ა) იმპორტისას ცხოველის თანმხლები დოკუმენტაცია უნდა მოწმობდეს უარყოფით მონაცემებზე ცხოველის წარმოშობის ფერმაში აბორტებისა და/ან Q ცხელებაზე სეროლოგიური კვლევის შესახებ, ან

ბ) ცხოველი გამოკვლეული უნდა იქნეს პჯრ და სეროლოგიური კვლევის მეთოდით იმპორტამდე, ან

გ) მაკე ცხოველის იმპორტის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირი ცხოველის არანაკლებ 21 დღის იზოლირებულად შენახვისას, უნდა უზრუნველყოფდეს Q ცხელებაზე გამოკვლევას პჯრ მეთოდით.

2. ფერმის შიგნით და ფერმებს შორის გადაადგილებისას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელში Q ცხელების გავრცელების რისკის შესამცირებლად:

ა) მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის პოპულაციაში სეროპრევალენტობის კვლევა რისკის შეფასებაზე დაფუძნებული გარკვეული კანონზომიერებით უნდა ხდებოდეს და ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს. Q ცხელებაზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, შესაძლებელია ბრუცელოზზე გამოკვლეული სულადობის დამატებით გამოკვლევა Q ცხელებაზე, რაც ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემს;

ცხოველებში, დამატებით Q ცხელებაზე გამოკვლევის საფუძველი უნდა იყოს:

- ყველა საექვო ცხოველი, რომელსაც აღენიშნება აბორტი, მკვდარშობადობა, მომყოლის შეჩერება და სხვა რეპროდუქციული პათოლოგია;
- ადამიანებში დაავადების დადებითი დიაგნოსტიკის შემთხვევები, რომლებიც უნდა გრძელდებოდეს მულტისექტორული ეპიდემიოლოგიური კვლევით;
- ფერმაში, კონკრეტულ სოფელსა თუ რეგიონში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სულადობის მკვეთრი მატების სტატისტიკა (Q ცხელების გავრცელების რისკი მნიშვნელოვნად იმატებს ცხოველთა სულადობის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფერმაში სულადობის $\geq 20-30\%$ -იანი ზრდა ფიქსირდება მოკლე პერიოდში (6–12 თვე), რაც ზრდის ინფექციური აგენტის გარემოში გამოყოფასა და კონტაქტების ინტენსივობას);
- ფერმაში აბორტების ჩვეულთან შედარებით გახშირებული შემთხვევები, რისთვისაც ზღვრები უნდა იქნეს გამოხატული კონკრეტული ციფრებით - პირობითად $\geq 5\%$. ამ შემთხვევაში გამოკვლეული უნდა იყოს ფერმის მთლიანი სულადობა.

ბ) გაუმჯობესდეს ფერმებში ბიოუსაფრთხოების ზომების განხორციელების პრაქტიკა და შესაბამისად მისი სახელმწიფო კონტროლი; ამალდეს ფერმერთა ცნობიერება კარგი პრაქტიკის დანერგვით, მაგალითად აქტივობები რომლებიც მოგების/დოლის პერიოდში დაავადების გავრცელების ალბათობას ამცირებს: ცხოველის იზოლირება ნახირისგან/ფარისგან, ნაკელის გატანის მართვა, მშობიარობისას პლაცენტისა და სანაყოფე სითხეებით, შარდით დაბინძურებული ქვეშაგების სწორი განკარგვა. აღნიშნულის მისაღწევად, ცხოველის სადგომის/ფერმის ინსპექტირებისას ინსპექტორმა შესაძლოა პასუხისმგებელ პირს Q ცხელებაზე ინფორმაცია მიაწოდოს: ახალი ბრძანების, ბუკლეტის, ინსტრუქციისა თუ სხვა ფორმატის საშუალებით;

3. მეცხოველეობის სექტორიდან ადამიანებში Q ცხელების გავრცელების რისკის შესამცირებლად:

- ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის სექტორებს შორის ინფორმაციის დროული და სისტემური გაცვლა Q ცხელების შემთხვევებსა და/ან მისი გავრცელების რისკებთან დაკავშირებით, ადამიანებში შემთხვევების ადრეულ გამოვლენის და სწრაფი, კოორდინირებული რეაგირების ღონისძიებების დასახვის მიზნით;
- ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის მიერ განხილული უნდა იქნეს Q ცხელების რისკჯგუფებში ეპიდემიოლოგიური კვლევების განხორციელება (გარდა პროფესიული რისკჯგუფებისა, გამლიერებულ

ეპიდზედამხედველობას უნდა ექვემდებარებოდეს ამთვისებული ცხოველების ფერმებთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობა);

გ) შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის წარმოება ფერმებში, სასაკლაოებში, ლაბორატორიებში მომუშავე პერსონალთან, მეწარმეებთან და მომხმარებლებთან.

4. სურსათისმიერი გზით Q ცხელების გავრცელების რისკის შესამცირებლად ბაზარზე განთავსებული ნედლი რძისა და არაპასტერიზებული რძით წარმოებული პროდუქტების კონტროლის გაძლიერება.

5. რეკომენდირებულია მულტისექტორული ჩართულობით შემუშავდეს Q ცხელების პრევენციისა და კონტროლის სახელმძღვანელო.